საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-28

20/01/2022

ქ. თბილისი

მცხეთის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' სოფელ საგურამოს საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის, ასევე მე-9 პუნქტის 9.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' სოფელ საგურამოს საკანალიზაციო სისტემის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა № 66 (24.12.2021);
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს № 66 (24.12.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი